N425 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 103-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 და 25-ე მუხლების საფუძველზე,

მუხლი 1. დამტკიცდეს თანდართული საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტი.

მუხლი 2. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1996 წლის 17 სექტემბრის №130 ბრძანება.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2013 წლის 31 დეკემბრის
N 425 დადგენილებით

საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტი

მუხლი 1. ძირითადი დებულებები

1. წინამდებარე ტექნიკური რეგლამენტი არეგულირებს:

ა) სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა სახეებს, რომლებსაც შეუძლიათ მოახდინონ უარყოფითი ზეგავლენა ზედაპირული წყლების მდგომარეობაზე;

ბ) წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურებას.

2.ზედაპირული წყლების დაბინძურების თავიდან აცილების მიზანია:

ა) წყლების ბუნებრივი თვისებების და მათზე დამოკიდებული გარემოს მაქსიმალურად დაცვა;

ბ) წყლის დაბინძურების არსებული დონეების შემცირება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით და სანიტარული თვალსაზრისით მაღალი ხარისხის სასმელი წყლით უზრუნველყოფა;

გ) წყლის ეკოსისტემების დაცვა;

დ) მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მომარაგება სათანადო ხარისხის წყლით;

ე) სარეკრეაციო მიზნებისათვის სანიტარული და ესთეტიური მოთხოვნების გათვალისწინება.

3. ზედაპირული წყლების დაბინძურების თავიდან აცილების და მასთან ბრძოლის ძირითადი პრიციპებია:

ა) წყლის ობიექტებში წყლის ხარისხის ნორმირება;

ბ) ზედაპირულ წყლებში დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩაშვების რეგლამენტირება;

გ) სამეურნეო საქმიანობის რეგლამენტირება, რომელიც ზეგავლენას ახდენს წყლების მდგომარეობაზე;

დ) წყალდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა;

ე) ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიის, მასალების და ნივთიერებების, აგრეთვე საწარმოების მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტების ეკოლოგიური ექსპერტიზა;

ვ) კონტროლი წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩაშვების დადგენილი პირობების შესრულებაზე;

ზ) ზედაპირული წყლების მონიტორინგი;
თ) წყლის დაბინძურების შესამცირებლად ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება;
ი) პასუხისმგებლობა წყალდაცვითი მოთხოვნების დარღვევისათვის.
4. წინამდებარე რეგლამენტის მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა:
ა) ყველა მეწარმე სუბიექტისათვის (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად), რომელთა სამეწარმეო საქმიანობა გავლენას ახდენს ზედაპირული წყლების მდგომარეობაზე;
ბ) საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისათვის;
გ) სახელმწიფო და კერძო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც დაკავებული არიან წყლის გამოყენებისა და დაცვის საკითხებით.

მუხლი 2. ზედაპირული წყლების ხარისხის ნორმირება

1. ზედაპირული წყლების ხარისხის ნორმირება არის წყლის შემადგენლობისა და თვისებების მაჩვენებლების დადგენა, რომლებიც საიმედოდ უზრუნველყოფენ მოსახლეობის ჯანმრთელობას, წყალსარგებლობის ხელსაყრელ პირობებს და წყლის ობიექტების კარგ ეკოლოგიურ სტატუსს
2. წყლის ობიექტების წყლის ხარისხის ნორმების დადგენა ხდება წყალსარგებლობის ცალკეული კატეგორიების მიხედვით.
3. წყალსარგებლობის კატეგორიებია:
ა) სასმელ-სამეურნეო წყალსარგებლობა;
ბ) სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყალსარგებლობა;
გ) თევზსამეურნეო წყალსარგებლობა, რომელიც თავის მხრივ იყოფა უმაღლეს, პირველ და მეორე კატეგორიებად.
4. სასმელ-სამეურნეო წყალსარგებლობის კატეგორიას მიეკუთვნებიან წყლის ობიექტები, რომელთა წყლის რესურსები გამოიყენება სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის.
5. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყალსარგებლობის კატეგორიას მიეკუთვნებიან წყლის ობიექტები, რომელთა წყლის რესურსებით სარგებლობა წარმოებს სარეკრეაციო მიზნებისათვის, თევზსამეურნეო წყალსარგებლობის კატეგორიას მიეკუთვნებიან წყლის ობიექტები, ან მათი ნაწილები, რომლებიც გამოიყენებიან თევზის მარაგის აღწარმოებისათვის, თევზრეწვისა და თევზის მიგრაციისათვის, მათ შორის:
6. უმაღლეს კატეგორიას განეკუთვნებიან წყლის ობიექტების ის უბნები, სადაც არსებობენ საქვირითე ადგილები, გამოსაზამთრებელი ორმოები განსაკუთრებულად ძვირფასი ჯიშის თევზებისა-თვის, დაცული ტერიტორიები, სადაც მიმდინარეობს ხელოვნური მოშენება;
7. პირველ კატეგორიას განეკუთვნებიან წყლის ობიექტები, გამოყენებული ძვირფასი ჯიშის თევზების შენარჩუნებისა და აღწარმოებისათვის, რომლებსაც ახასიათებთ მაღალი მგრძნობიარობა წყალში ჟანგბადის შემცველობაზე;

8. მეორე კატეგორიას განეკუთვნება წყლის ობიექტები, რომლებიც გამოიყენება სხვა თევზსამეურნეო მიზნებისათვის.
9. ზედაპირული წყლების შემადგენლობის და თვისებების დადგენილი ნორმები წყალსარგებლობის კატეგორიების მიხედვით მოყვანილია N1 და N2 დანართებში.
10. იმ შემთხვევაში, როდესაც წყლის ობიექტი ან მისი ნაწილი გამოიყენება სხვადასხვა სახის წყალსარგებლობისათვის ერთდროულად, მაშინ წყლის შემადგენლობისა და ხარისხისადმი უნდა წაყენებული იქნეს ყველაზე მკაცრი ნორმები დადგენილთა შორის.
11. უნიკალური წყლის ობიექტებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ ეკოლოგიურ, სამეცნიერო, ისტორიულ და კულტურულ ფასეულობას, შეიძლება დადგენილ იქნეს განსაკუთრებული მოთხოვნები წყლის ხარისხისადმი.

მუხლი 3. ზედაპირულ წყლებზე ზეგავლენის მქონე სამეურნეო საქმიანობის და მათში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ჩაშვების რეგლამენტირება

1. წყალმოსარგებლეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ:
ა) ზედაპირულ წყლებში წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩაშვების დადგენილი წესებისა და პირობების დაცვა;
ბ) აუცილებელი წყალდაცვითი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
გ) უწყებრივი კონტროლის განხორციელება წყლის ობიექტების დაცვაზე;
დ) ზომების მიღება ზალპური ან ავარიული ჩაშვების შედეგად ზედაპირული წყლების დაბინძურების თავიდან აცილების ან ლიკვიდაციის მიზნით.
2. წყლის შემადგენლობა და თვისებები მდინარეში უნდა აკმაყოფილებდნენ ნორმებს (დანართი N1, N2) უახლოესი წყალსარგებლობის პუნქტიდან 1 კმ-ით მაღლა მდებარე კვეთში, ხოლო წყალსატევზე და ტბაზე 1 კმ-ის რადიუსის ზონაში.
3. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ზ.დ.კ. რომელიმე ნივთიერებაზე, რომლის ჩაშვება გათვალისწინებულია წყლის ობიექტში, წყალმოსარგებლე ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული ნივთიერების ზ.დ.კ-ის დადგენა და მისი შემდგომი ანალიზის მეთოდიკის შემუშავება შესაბამისი კვლევითი-სამეცნიერო დაწესებულებების მეშვეობით.
4. ჩამდინარე წყლების თითოეული ჩაშვების წერტილისათვის დგინდება დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმები, რომელთა დაცვა უზრუნველყოფს ზედაპირული წყლების ნორმატიულ ხარისხს.
5. ზ.დ.ჩ-ის ნორმების შემუშავებისა ტექნიკური რეგლამენტი დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.
6. ზედაპირულ წყლის ობიექტებში აკრძალულია ჩაშვება:
ა) ჩამდინარე წყლების, რომლებიც შეიძლება აღკვეთილ იქნეს რაციონალური ტექნოლოგიის დანერგვის გზით;
ბ) ჩამდინარე წყლების, რომლებიც შეიცავენ საწარმოო ნედლეულს, რეაგენტებს, ნახევარფაბრიკატებს და წარმოების საბოლოო პროდუქტებს, რომელთა რაოდენობაც აღემატება ტექნოლოგიური დანაკარგების ნორმატივებს;

გ) პულპების, კონცენტრირებული კუბური ნარჩენების და შლამების, რომლებიც წარმოიქმნებიან ჩამდინარე წყლების გაუვნებელყოფის შედეგად;
დ) წარმოების ნარჩენების, ნედლეულის, ნიადაგის ეროზიის პროდუქტების, პესტიციდების, მინერალური სასუქების და საყოფაცხოვრებო ნარჩენების;
ე) ჩამდინარე წყლების, რომლებიც შეიცავენ რადიონუკლიდებს;
ვ) წყლის ტრანსპორტიდან ბალასტური, ლიალური და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების, ნაგვის და სხვა ნივთიერებების.
7. განსაკუთრებით საშიშია ზედაპირული წყლის ობიექტებში იმ ჩამდინარე წყლების ჩაშვება, რომლებიც შეიცავენ N3 დანართში აღნიშნულ ნივთიერებებს.
8. საწარმოო ობიექტები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნული ნივთიერებების ჩაშვებას ზედაპირული წყლის ობიექტებში, ვალდებულნი არიან მიიღონ ზომები ამ ნივთიერებების ჩამდინარე წყლებში მოხვედრის შესაზღუდავად ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების ან ამ წყლების შეგროვების და მათი წინასწარი გაწმენდისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ჩამდინარე წყლების რეცირკულაცია და ძვირფასი ნივთიერებების რეკუპერაცია.
9. სოფლის მეურნეობის ობიექტებით წყლის ობიექტების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა:
ა) პესტიციდების და მინერალური სასუქების უსაფრთხო გამოყენება, შენახვა, ტრანსპორტირება;
ბ) სასათბურე მეურნეობებში სადრენაჟო და კონდენსაციური წყლების რეცირკულაციის სისტემების დანერგვა
10. არ დაიშვება წყლის ობიექტებში და მათ ნაპირებზე სატრანსპორტო საშუალებების და სხვა მექანიზმების რეცხვა.
11. არ დაიშვება წყლის ობიექტების დაბინძურება ნავთობმომპოვებელი ობიექტებიდან, ნავთობ და პროდუქტსადენებიდან ჟონვის შედეგად.
12. ქვირითობის ადგილებში, სანასუქე ფართობებზე და იმ ნაკვეთებზე, რომლებიც გამოიყენება თევზების სამიგრაციო გზებად, არ დაიშვება წყლის ობიექტების ფსკერის დასაღრმავებელი და გასაწმენდი სამუშაოები, აგრეთვე გრუნტისა და სხვა მასალების ჩაყრა-ამოღება.
13. წყლის ობიექტების ზედა და ქვედა ბიეფებში უნდა შენარჩუნებული იქნეს წყლის დონის ისეთი რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს ნორმალურ პირობებს წყალამღებების მუშაობისათვის, თევზის ქვირითობისათვის, თევზის მოზარდის განვითარებისათვის და მათი დინებით ჩატანისათვის.
14. იმ ობიექტებისათვის და ნაგებობებისათვის, სადაც რეალურად არსებობს ავარიების საშიშროება (ნავთობ და პროდუქტსადენები, ნავთობ და პროდუქტსაცავები, ნავთობის ჭაბურღულები და სხვა) უნდა იქნეს შემუშავებული და განხორციელებული ავარიების საწინააღმდეგო ღონისძიებები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული მოსალოდნელი ავარიების სალიკვიდაციო გეგმები.

15. ქალაქის (დასახლებული პუნქტის) საკანალიზაციო ქსელში საწარმოო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობებს თოთოეულ შემთხვევაში საზღვრავს საკანალიზაციო წყლების მფლობელი.
16. საწარმოო ჩამდინარე წყლების სხვა საწარმოს ბალანსზე მყოფ საკანალიზაციო კოლექტორზე მიერთების პირობებს საზღვრავს კოლექტორის და გამწმენდი ნაგებობის მფლობელი.

მუხლი 4. კონტროლი და მონიტორინგი

1. კონტროლს წყლის დაცვაზე ახორციელებს თვით საწარმო-წყალმოსარგებლე (თვით-კონტროლი), ხოლო სახელმწიფო კონტროლს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ხოლო ზედაპირული წყლების სახელმწიფო მონიტორინგს ახორციელებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“.
2. წყალმოსარგებლენი აკონტროლებენ:
ა) აღებული, გამოყენებული და წყლის ობიექტებში ჩაშვებული წყლის მოცულობებს;
ბ) ჩამდინარე წყლების შემადგენლობასა და თვისებებს;
გ) წყლის ობიექტის წყლის შემადგენლობასა და თვისებებს ჩამდინარე წყლების ჩაშვების ადგილებში.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დარღვევისათვის

პასუხისმგებლობა ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისათვის განისაღვრება საქართველოს კანონდემბლობით.

დანართი N1

ზოგადი მოთხოვნები

წყალსატევებში წყლის შემადგენლობისა და თვისებების რეგლამენტირება წყალსარგებლობის კატეგორიების მიხედვით

<table>
<tr><td rowspan="4">მაჩვენებლები</td><td colspan="4">წყალსარგებლობის კატეგორია</td></tr>
<tr><td rowspan="2">მოსახლეობის სასმელ–სამეურნეო მიზნებისათვის</td><td rowspan="2">მოსახლეობის სამეურნეო–საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის</td><td colspan="2">თევზსამეურნეო მიზნებისათვის</td></tr>
<tr><td>უმაღლესი და პირველი კატეგორია</td><td>მეორე კატეგორია</td></tr>
<tr><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td></tr>
<tr><td rowspan="3">შეწონილი ნაწილაკები</td><td colspan="4">დასაშვების შეწონილი ნაწილაკების შემცველობის მატება არაუმეტეს:</td></tr>
<tr><td>0,25 მგ/ლ</td><td>0,75 მგ/ლ</td><td>0,25 მგ/ლ</td><td>0,75 მგ/ლ</td></tr>
<tr><td colspan="4">მდინარეებისთვის რომელბიც შეიცავენ წყალმცირობისას 30 მგ/ლ ბუნებრივ შეწონილ ნაწილაკებს, დასაშვებია მათი მომატება 5% ფარგლებში</td></tr>
<tr><td colspan="4">თუ ჩამდინარე წყლები შეიცავენ შეწონილ ნაწილაკებს, რომელთა დალექვის სიჩქარე აღემატება 0,2 მმ/წმ, მათი ჩაშვება აკრძალულია წყალსატევებში (ტბებში)), ხოლო თუ აღემატება 0,4 მმ/წმ მდინარეებში (არხებში)</td></tr>
<tr><td>მცურავი მდინარეებ</td><td colspan="4">წყლის ზედაპირზე არ უნდა შეინიშნებოდეს ნავთობპროდუქტების, ზეთების და ცხიმების აფსკები, აგრეთვე</td></tr>
</table>

ი (ნივთიერებები) შეფერილობა	სხვა მინარევები		
	არ უნდა შეინიშნებოდეს წყლის სვეტში		წყალმა არ უნდა მიიღოს უცხო ფერი
	20 სმ	10 სმ	
სუნი, გემო	წყალმა არ უნდა მიიღოს 1 ბალზე მეტი ინტენსიურობის სუნი და გემო, რომელიც შეინიშნება		წყალმა არ უნდა მისცეს თევზის პროდუქტს უცხო სუნი და გემო
	უშუალოდ, შემდგომი ქლორირების ან სხვაგვარი დამუშავების შემდეგ	უშუალოდ	

1	2	3	4	5
ტემპერატურა	წყლის ზაფხულის ტემპერატურამ ჩამდინარე წყლების ჩაშვების შემდეგ არ უნდა მოიმატოს 30 C მეტად ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე ცხელი თვის წყლის საშუალოთვიურ ტემპერა–ტურასთან შედარებით წყლის ტემპერატურამ არ უნდა მოიმატოს 5^0 C მეტად წყალსატევის ბუნებრივ ტემპერეტურასთან		წყლის ტემპერატურამ არ უნდა მოიმატოს 50 C მეტად წყალსატევის ბუნებრივ ტემპერეტურასთან შედარებით. ამასთან ერთად წყლის ობიექტებში, სადაც ბინადრობენ ცივი წყლის მოყვარული თევზები (ორაგულისებრნი და სიგასებრნი), მაქსიმალური დასაშვები ტემპერატურაა: 20^0 C ზაფხულში და5^0 C ზამთარში, ხოლო დანარჩენ წყლის ობიექტებში 28^0 C ზაფხულში და 8^0 C ზამთარში	

	შედარებით			
რეაქცია (PH)	არ უნდა სცილდებოდეს 6,5 – 8,5			
წყლის მინერალიზაცია	არაუმეტეს 1000 მგ/ლ, მათ შორის:ქლორიდები -350 მგ/ლ, სულფატები - 500 მგ/ლ	ნორმირება ხდება ზემოთმოყვანილ მაჩვენებლის "გემო" მიხედვით	ნორმირება ხდება თევზსამეურნეო წყლის ობიექტების ტაკსაციების შესაბამისად	
წყალში გახსნილი ჟანგბადი	წლის ნებისმიერ დროს არ უნდა იყოს ნაკლები:			
	4 მგ/ლ	4 მგ/ლ	6 მგ/ლ	6 მგ/ლ
ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილება ჟბმ სრული	20^0 C ტემპერატურისას არ უნდა აღემატებოდეს:			
	3 მგ/ლ	6 მგ/ლ	3 მგ/ლ	6 მგ/ლ
ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება ჟქმ	არ უნდა აღემაებოდეს:			
	15 მგ/ლ	30 მგ/ლ	_	_
ქიმიური ნივთიერე	არ უნდა აღემატებოდეს #2დანართში მოყვანილ ნორმატივებს			

ბები				
დაავადებათა გამომწვევები	წყალი არ უნდა შეიცავდეს დაავადებათა გამომწვევებს, მათ შორის სიცოცხლისუნარიან ჰელმინტების კვერცხებს, ტენიების ონკოსფეროებს და სიცოცხლისუნარიან პათოგენურ ნაწლავის უმარტივესთა ცისტებს			
ლაქტოზადადებითი ნაწლავის ჩხი-რები არაუმე-ტესი	10000 ლიტრში	5000 ლიტრში	–	–

1	2	3	4	5
კოლიფაგები არაუმეტესი	100 ლიტრში	100 ლიტრში	–	–
წყლის	–	–	ჩამდინარე წყალი წყლის ობიექტში ჩაშვების ადგილას არ უნდა ახდენდეს	

ტოქსიკუ რობა			ტესტ-ობიექტებზე მწვავე ტოქსიკურ ზემოქმედებას წყლის ობიექტის წყალი საკონტროლო კვეთში არ უნდა ახდენდეს ქრონიკულ ტოქსიკურ ზემოქმედებას ტესტ-ობიექტებზე

შენიშვნა: დეფისი _ ნიშნავს, რომ მაჩვენებელი არ არის ნორმირებული

დანართი N2

წყალსატევებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები წყალსარგებლობის კატეგორიების მიხედვით

ინგრედიენტის დასახელება	საშიშროებისკლასი	სასმელ–სამეურნეო–საყოფაცხოვრებო-წყალსარგებლობის წყალსატევებისთვის		თევზსამეურნეო წყალსარგებლობის წყალსატევებისთვის	
		მავნეობის ლიმიტირებული მაჩვენებელი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია მგ/ლ	მავნეობის ლიმიტირებული მაჩვენებელი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია მგ/ლ
1	2	3	4	5	6

ამონიუმის	3	სანიტარულ–	0,39	ტოქსიკოლოგიური	0,39
აზოტი	2	ტოქსიკოლოგიური	0,5	სანიტარულ–ტოქსიკოლოგიურ	0,5
ალუმინი	2	სანიტარულ–	0,1	ორგანოლეპტური	2,0
ბარიუმი	1	ტოქსიკოლოგიური	0,0002	სანიტარულ–ტოქსიკოლოგიური	0,0002
ბერილიუმი	2	სანიტარულ–	0,5	ტოქსიკოლოგიური	10,0
ბორი	2	ტოქსიკოლოგიური	0,05	ტოქსიკოლოგიური	0,05
დარიშხანი	3	სანიტარულ–	0,1	ტოქსიკოლოგიური	0,001
ვანადიუმი	1	ტოქსიკოლოგიური	0,0005	ტოქსიკოლოგიური	0,00001(არ უნდა
ვერცხლისწყალი	2	სანიტარულ–	0,005	ტოქსიკოლოგიური	იყოს)
ვოლფრამი	3	ტოქსიკოლოგიური	1,0	ტოქსიკოლოგიური	0,0008
თუთია	2	სანიტარულ–	0,001	ტოქსიკოლოგიური	0,01
კადმიუმი	2	ტოქსიკოლოგიური	0,1	ტოქსიკოლოგიური	0,005
კობალტი	4	სანიტარულ–	1,0	საერთო–სანიტარული	0,01
კაპროლაქტამი	3	ტოქსიკოლოგიური	0,1	ტოქსიკოლოგიური	1,0
მანგანუმი	2	სანიტარულ–	0,25	ტოქსიკოლოგიური	0,01
მოლიბდენი	3	ტოქსიკოლოგიური	45,0	სანიტარულ–ტოქსიკოლოგიური	0,012
ნიტრატები	2	სანიტარულ–	3,3	ტოქსიკოლოგიური	40,0
ნიტრიტები	3	ტოქსიკოლოგიური	0,1	ტოქსიკოლოგიური	0,08
ნიკელი	3	საერთო–სანიტარული	0,3	ტოქსიკოლოგიური	0,01
რკინა	2	სანიტარულ–	0,001	ტოქსიკოლოგიური	0,005
სელენი	3	ტოქსიკოლოგიური	1,0	ტოქსიკოლოგიური	0,0016
სპილენძი	4	სანიტარულ–	500	სანიტარულ–	0,001
სულფატები		ტოქსიკოლოგიური		ტოქსიკოლოგიური	100,0
		საერთო–სანიტარული			
		ორგანოლეპტური			
		სანიტარულ–			
		ტოქსიკოლოგიური			
		სანიტარულ–			
		ტოქსიკოლოგიური			

		სანიტარულ– ტოქსიკოლოგიური სანიტარულ– ტოქსიკოლოგიური ორგანოლეპტური სანიტარულ– ტოქსიკოლოგიური ორგანოლეპტური ორგანოლეპტური			
სტიბიუმი ტალიუმი ტიტანი ტყვია ტელური პოლიფოსფატებ ი ფტორიდები ქლორიდები ქრომი $Cr^{(+6)}$ ციანიდები ეთილენი სზან მეთანოლი ნავთობპროდუქ ტები ფორმალდეჰიდ ი აცეტონი	2 1 3 2 2 3 2 4 3 2 3 3 2 4 2 3 2 4	სანიტარულ– ტოქსიკოლოგიური სანიტარულ– ტოქსიკოლოგიური საერთო–სანიტარული სანიტარულ– ტოქსიკოლოგიური ტოქსიკოლოგიური სანიტარულ– ტოქსიკოლოგიური ორგანოლეპტიკური ტოქსიკოლოგიური ორგანოლეპტური ორგანოლეპტური სანიტარულ– ტოქსიკოლოგიური ორგანოლეპტური ტოქსიკოლოგიური ტოქსიკოლოგიური სანიტარულ– ტოქსიკოლოგიური	0,05 0,0001 0,1 0,03 0,01 3,5 0,05 350,0 0,1 0,1 0,5 0,1 3,0 0,3 0,05 2,2 0,1 0,001	სანიტარულ–ტოქსიკოლოგიური სანიტარულ–ტოქსიკოლოგიური საერთო–სანიტარული ტოქსიკოლოგიურიი ტოქსიკოლოგიური ორგანოლეპტიკური ტოქსიკოლოგიური სანიტარულ–ტოქსიკოლოგიური სანიტარულ–ტოქსიკოლოგიური ტოქსიკოლოგიური ორგანოლეპტური ტოქსიკოლოგიური სანიტარულ–ტოქსიკოლოგიური სათევზმეურნეო სანიტარული ტოქსიკოლოგიური ტოქსიკოლოგიური სათევზმეურნეო	0,05 0,0001 0,1 0,1 0,0028 3,5 0,05 300 0,001 0,05 0,5 0,1 0,1 0,05 0,01 0,05 0,03 0,001

ზუთილის სპირტი ფენოლები		ორგანოლეპტური სანიტარულ–ტოქსიკოლოგიური საერთო–სანიტარული სანიტარულ–ტოქსიკოლოგიური ორგანოლეპტური			

დანართი N3

ეკოლოგიურად განსაკუთრებით საშიშ ნივთიერებათა ჩამონათვალი

1. ჰალოგენორგანული ნაერთები

2. ფოსფორორგანული ნაერთები

3. კალაშემცველი ორგანული ნივთიერებები

4. კადმიუმი და კადმიუმის ნაერთები

5. ტყვია და ტყვიის ნაერთები

6. ვერცხლისწყალი და ვერცხლისწყლის ნაერთები

7. სხვა ნივთიერებები, რომლებიც წყალში მოხვედრისას ამჟღავნებენ ტოქსიკურ, კანცეროგენულ, მუტაგენურ და ტერატოგენულ თვისებებს, კერძოდ:

ა) აკრილონიტრილი,

ბ) ატრაზინი,

- ბენზოლი,
- დინიტრობენზოლები,
- დინიტროტოლუოლები,
- იზობენზანი,
- სიმაზინი,
- ტრიფლურალინი.

8. მდგრადი მინერალური ზეთები და ნავთობური წარმოშობის ნახშირწყალბადები

9. ციანიდები

10. რადიოაქტიური ნივთიერებები და ნარჩენები